http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/userreport.cgi?mid=19&yid=v1937

დაამატა: **ერლან მანაშევმა**

“მეტალურგი” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) - 1:0 (1:0)

25 აგვისტო. მოსკოვი. სტადიონი “დინამო” სტადიონი . 30000 მაყურებელი.

მსაჯი: სტრეპიხეევი(მოსკოვი).

გოლი: 1-0 ზაბივაევი(44).

“მეტალურგი”: ნაბოკოვი, როდიონოვი, ალიაკრინსკი, კომაროვი, კუდრიავცევი, სიზემოვი, პოტაპოვი, ა. ზაიცევი, ლოგინოვი, ზაბივაევი (ჩულკოვი), ფედოტოვი.

თბილისის “დინამო”: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე (გუნდის კაპიტანი), ჭუმბურიძე, ვ. ჯორბენაძე, მ. მინაევი, გ. გაგუა, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი (ლოლაძე), ბ. პაიჭაძე, ვ. ბერძენიშვილი, მ. ასლამაზოვი.

თბილისის “დინამოს” მეორე დამარცხება

მოსკოვი, 25 აგვისტო (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). დღეს მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე 30 ათასი მაყურებლის თანდასწრებით თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდი შეხვდა მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდს “მეტალურგს”, რომელიც საკავშირო პირველობისათვის ბრძოლაში პირველი მიდის.

პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0 მოსკოვის “მეტალურგის” სასარგებლოდ.

თბილისელთა სწრაფვა გაქვითონ ანგარიში მეორე ტაიმში ვერ იძლევა შედეგს.

მიუხედავად იმისა, რომ მთელმა მატჩმა ჩაიარა თბილისელთა აშკარა უპირატესობით, თავდასხმის ხუთეულს არ შესწევდა უნარი ბოლომდე მიეყვანა დაწყებული კომბინაციები.

30 აგვისტოს თბილისის “დინამოელები” შეხვდებიან ლენინგრადის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდს.

მატჩი შესდგება ლენინგრადში.

“კომუნისტი”, 26 აგვისტო, 1937 წ.